



ჩვენი ოჯახი

7



ვენი ოჯახი



ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ენა





მოწყაღე და მწყაღობელი ღმერთის სახელით



muslim georgia



დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა

აუთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف تضامن وادع المسلمو جورجا

muslim GEORGIA ULUSLARARASI YARDIMLAŞMA VAKFI



www.muslimgeorgia.org



info@muslimgeorgia.org



[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18)



[muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)



[georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran)



[muslim_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)



[muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran)



[muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)




ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ენა



ვენი ოჯახი





როგორც ყველას სახლში, შუამავლის სახლშიც იყო ცხოვრების სხვადასხვა გრძნობები: ტკივილი, სიხარული, გაბრაზება, სიყვარული...ახალდღეს იწყებდა ზოგჯერ მშვიდობით, ხანდახან მოთმინებით, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო პირობები, ოჯახში ჰქონდა გულწრფელი და საპატიო კომუნიკაცია. ჩვენი ძვირფასი შუამავლის ოჯახის წევრები არერიდებოდნენ მასთან საკუთარი აზრების გამოხატვას, არც საკუთარი გრძნობების მისგან დამალვის საჭიროებას გრძნობდნენ. ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა, რომელიც არ იყო შეწუხებული ამსიტუაციით, ერთხელ მის მეუღლე ჰზ. აიშას უთხრა: “მე ვხვდები,

როდის ხარ კმაყოფილი ჩემით, და როდის ხარ გაბრაზებული ჩემზე“. როდესაც მას ჰკითხა ჰზ. აიშემ „როგორ ხვდები ამას?“ მან ეს მინიშნება გააკეთა: „როცა კმაყოფილი ხარ ჩემით, ამბობ: „ვფიცავ მუჭამმედის ღმერთს, რომ არა!“, როცა გაბრაზებული ხარ, ამბობ, „ვფიცავ აბრაამის ღმერთს, რომ არა!“ აღნიშნულზე, ჰზ. აიშეს პასუხი მიუთითებდა, რომ მაშინაც კი, თუ ენით ნაკლებად გამოხატავდა მეუღლის სახელს, გულში არასოდეს მცირდებოდა მისი სიყვარული: „დიახ, მართალი ხარ. მაგრამ, ვფიცავ ალლაჰს, რომ ჰკეი, ალლაჰის შუამავალო, მე შემძლია ვიყო შორს, მხოლოდ შენი სახელისგან.“ (ბუჰარი, ნიჟაჰი, 109)





როდესაც ვამბობთ ოჯახი...

ერთადერთობა, ტოლის არყოლა, მხოლოდ ალლაჰისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ გვჭირდება მეუღლე, სახლი, ნდობა და კავშირი. ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა და გაზიარება, სიყვარული და ზრუნვა, სიმშვიდე და თანაგრძნობა, მოკლედ, გვჭირდება ოჯახი.

ოჯახი არის წმინდა დაწესებულება, რომელიც არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სიტყვებით როგორცაა „ერთიერთობა, ერთად ყოფნა და ერთობა“, რომლებსაც აქვს ზედაპირული მნიშვნელობა და არ არის ღირებულების მატარებელი.

ოჯახი არის იმდენად სრული, დიდი და მდიდარი ერთობა, რომ არ შეიძლება დავაკვალიფიციროთ, როგორც ფართო ან ვიწრო. დედ-მამა, ბებია-ბაბუა, შვილი-შვილიშვილი, ნათესავ-მეზობელი არიან ამ ერთობის შეუცვლელი ელემენტები.

ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ანა

ოჯახი, როგორც ჩვენი საყვარელი შუამავალი ამბობს, არის განათლების კერა, სადაც ფორმირდება ჩვენი პიროვნება, რწმენა და ცხოვრების წესი. (ბუჰარი, ჯენაიზი, 92) „იყო ოჯახი“, როგორც ჩვენი ღმერთი ბრძანებს, არის ის, რომ „ისინი სამოსელია თქვენი და თქვენ ხართ სამოსელი მათი.“ (ბაყარა, 2/187)

ნიშნავს, იყო ისეთი, რომელიც ფარავს, როგორც სამოსი,

იცავს, როგორც სამოსი,

აღამაზებს, როგორც სამოსი,

თავსებადია, როგორც სამოსი.

ამიტომ, ოჯახი არ არის ერთი ურთიერთობის, არამედ ის არის მრავალმხრივი კომუნიკაციის სფერო.

თუკი ასეა მაშინ რა არის კომუნიკაცია?

კომუნიკაცია არის ორ არსებას შორის ინფორმაციის გადაცემისა და გაგების პროცესი. გავხადოთ მსოფლიო აზ-





ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ენა

რიანი; გავუზიაროთ ჩვენს მიერ აღმოჩენილი მნიშვნელობა სხვებს; გადავცეთ ჩვენი დარდი, გრძნობა და აზრები, ჩვენი საჭიროებები და მოლოდინები მოპირდაპირე მხარეს ვუწოდებთ კომუნიკაციას. შესაძლებლობას, განვახორციელოთ აღნიშნული ისე, რომ არ გვეწყინოს და არ ვაწყენინოთ, ეწოდება სწორი ან ჯანსაღი კომუნიკაცია.

კომუნიკაცია ზოგჯერ სიტყვიერია; ლაპარაკით, თქმით, ბაასით ან ყვირილით... ზოგჯერ მყარდება სიტყვების გარეშეც: დგომით, შეხედვით, გაღიმებით ან წარბის შეკვრით... ზოგჯერ ჩავეხუტებით უსიტყვოდ, ზოგჯერ მივატრიალებთ სახეს და ზურგს ვაქცევთ. მაშინაც კი, თუ ხმას არ ამოვიღებთ, შეგვიძლია დავამყაროთ კომუნიკაცია ჩვენი სხეულის ენით, გამოვხატოთ საკუთარი თავი. შედეგად, ყოველდღიურად ასობით შეტყობინებას ვუგზავნით ჩვენ გარშემომყოფებს დადებითს ან უარყოფითს, სიტყვიერს ან უსიტყვოს.

რას ნიშნავს ოჯახური კომუნიკაცია?



ოჯახში, დიდის და პატარის, ქალისა და კაცის, ახალგაზრდისა და მოხუცის, ყველას მიერ ერთმანეთთან დამყარებული კავშირი და ამ კავშირის მეშვეობით მიწოდებული შეტყობინებები, ქმნიან ოჯახურ კომუნიკაციას. თუ ოჯახში მიღებულია ჯანსაღი კომუნიკაციის სტილი, ოჯახის წევრები შეძლებენ თავიანთი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას ისე, რომ არ ატკინონ გული ერთმანეთს. შეძლებენ პრობლემების გადაჭრას მანამ, სანამ ის გადავა განგრენაში. კონფლიქტის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოძებნონ გამოსავალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ საკომუნიკაციო ხარვეზები შეიძლება იყოს ყველა კომუნიკაციის პროცესში.

ოჯახში, სადაც გამოიყენება ჯანსაღი კომუნიკაციის ენა, ყველა პატივს სცემს ერთმანეთის არსებობას. ადამიანისთვის ნორმალურია, რომ მის წინაშე მყოფს აქვს განსხვავებული აზროვნება, გემოვნება, სურვილი, იდეალი და გეგმები. ის ასევე აღიარებს, რომ როგორც ადამიანს, მასაც აქვს გარკვეული სისუსტეები და ხარვეზები. იჩენს ძალისხმევას დამყაროს კომუნიკაცია ისე, რომ არ დაარღვიოს, არ დაანგრიოს, არ დააზიანოს.

ენა, ფორმულირება, სიტყვა, გამოხატვა და შენიშვნა წარმოადგენს სიტყვებს, რომელსაც ვიყენებთ სათქმელის გადმოსაცემად ყოველდღიურ ცხოვრებაში. არაბულ ენაში „ლისან“ გათავისუფლებას, „ლაფიზ“ გადაგდებას, „ქელამ“ კი დაზიანების მიყენებას ნიშნავს. სიტყვა „დილ“ სპარსულია და გრძნობას ნიშნავს. „ლაფ“ ასევე მომდინარეობს სპარსული ფუძიდან და ფუჭ სიტყვას ნიშნავს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახური კომუნიკაცია ნიშნავს იმ ჭრილობების წინასწარ გათვლას, რომელიც შეიძლება მიაყენოს გრძნობებს ცარიელი სიტყვების სროლამ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს, „უთხარი ჩემს მსახურთ: „უთხრან სიტყვა კეთილი!“ უეჭველად, ეშმაკი უკეთურებას თესავს მათ შორის. უთუოდ, ეშმაკი ადამიანის ცხადი მტერია!“ (ისრა, 17/53) სურს, რომ ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ნათქვამს და გვახსენებს, რომ ჩვენი ყველა სიტყვა იწერება. (ქააფი, 50/18) ჩვენი ძვირფასი შუამავალი კი, გვაფრთხილებს: „ვისაც სწამს ალლაჰი და განკითხვის დღე, ან კარგი თქვას, ან გაჩუმდეს.“ (ბუჰარი, ეღებ, 31) აქედან გამომდინარე, შიდა ოჯახური კომუნიკაცია არის ეშმაკისთვის



ინტრიგნობის შესაძლებლობის მიცემის გარეშე ლაპარაკი, კარგისა და ჭეშმარიტების თქმა გემოვნების დაცვაა.

წყნარი ოჯახი არ ნიშნავს ოჯახს, რომელიც არ ყოფილა რაიმე პრობლემის ან უბედურების წინაშე, არ გამხდარა რაიმე სახის კამათის ან დაძაბულობის სცენა. წყნარი ოჯახი ნიშნავს ოჯახს, რომელიც ამყარებს ჯანსაღი კომუნიკაციის ქსელს და შეუძლია პრობლემებისა და გასაჭირის ადამიანურად მოგვარება.

ეს ბროშურა, რომელიც შიდა ოჯახურ კომუნიკაციის პროცესს აფუძნებს ექვსი ენის სახეობაზე, როგორცაა გრძნობის ენა, ღირებულების ენა, მადლიერების ენა, ბოდიშის ენა, ლოცვის ენა და დუმილის ენა, მიზნად ისახავს შიდა ოჯახური კომუნიკაციის ცოდნისა და უნარების ხელშეწყობას. იმედი გვაქვს, წვლილს შევიტანთ ჩვენს წინაშე არსებული სილამაზეების, ჩვენს სიტყვებსა და ხედვაში ასახვის უნარების განვითარებაში.

ოჯახური
კომუნიკაცია, ნიშნავს
პირველ რიგში “ენას“;
გამოიყენეთ ენა სწორად
და არ გახადოთ საჭირო
ცხვირსახოცი.





muslim.org.uk
International charity foundation
914



ჩვენი ძვირფასი
შუამავალი ბრძანებს,
რომ „მორწმუნე
გულწრფელი ვინმეა.
არ იქნება სიკეთე
მისგან, ვინც არ
ამყარებს სიასლოვს
ადამიანებთან და არ
შეიძლება სიასლოვის
დამყარება მასთან.

(იბნ ჰანბელ, II, 400)



გრძნობის ენა

ყურანი ოჯახის საძირკველში აყენებს სიტყვებს: „მევედდეთ“ (სიყვარული) და „რაჰმეთ“ (მოწყალება). (რუმი, 30/21) გრძნობის ენის ლექსიკონი რეალურად შედგება ამ ორი სიტყვისაგან. „მევედდეთ“; სიყვარულია. „რაჰმეთ“ კი, მოწყალებაა, თანაგრძნობაა, თავაზიანობაა. გრძნობის ენის ფლობაზეა დამოკიდებული, რომ დასაწყისიდან ბოლომდე შეგეძლოს გაახმოვანო „მევედდეთი“, ანუ გულში არსებული სიყვარული და შეგეძლოს აგრძნობინო გულში არსებული გულ-მოწყალების სიტბო ყველაზე რთულ მომენტებში. სახლში, სადაც გრძნობის ენა დომინანტურია, არ არის საუბარი შიდა ოჯახურ ძალადობაზე. რადგანაც, ასეთი ოჯახის შიგნითაც და გარეთაც იქნება წყალობა.

ჩვენ ვსწავლობთ ჩვენი შუამავლისგან, თუ როგორ გამოვიყენოთ გრძნობის ენა ოჯახში. „თქვენგან საუკეთესო არის ის, ვინც საუკეთესოა თავისი ოჯახის წინაშე. მეც მათ შორის ვარ, ვინც საუ-

კეთესოა თავისი ოჯახის წინაშე!“ (თირმიზი, მენაკიბ, 63) ამბობს წყალობის შუამავალი, რომლის ენას არასოდეს წარმოუთქვამს ისეთი ბინძური სიტყვები, როგორიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, გინება, წყევლა. პირიქით, თანაგრძნობა და ტოლერანტობა მის ენაზე ჰპოვებს სიცოცხლეს. როგორც ჰზ. აიშე ამბობს, „ის არ იყო უხეში ადამიანი. ხმამაღლა არ გაჰკვივოდა ქალაქში და ბაზარში, არ პასუხობდა ბოროტებას ბოროტებით, პირიქით პატიობდა და იქცეოდა ტოლერანტულად.“ (თირმიზი, ბირრ და სილა, 69)

გრძნობის ენას ვიხილავთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის დამოკიდებულებაში, პირველი ინციდენტის დროს, ანუ, როდესაც ჰზ. აიშეს ცილი დასწამეს. შუამავალი, რომელიც მოთმინებით და გამძლეობით მოქმედებდა, თავისი ქალბატონის ყველაზე რთულ და პრობლემურ მომენტში, რომელთანაც კონტაქტი არ შეუწყვეტია, წარმოგვიდგენს ამ ენის ყველაზე ლამაზ მაგალითს. მან, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰზ. აიშეს წყენინებაზე ან მის მიმართ ძალადობაზე, გაითვალისწინა იმ დღეებში გადატანილი მისი ავადმყოფობა და ცილისწამების საკითხი არც კი უხსენებია... ჰზ. აიშემ,



თავის ნამუსზე ჭორის გავრცელების შესახებ, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეძლო გაეგო მასთან მყოფი დამლაგებლისგან. (ბუჰარი, შეჰადეთ, 15)

შუამავალი, რომელიც მის გარშემოყოფ ბავშვებს მიმართავდა „შვილო“ და ასე იწყებდა საუბარს, პატარა მედინელს, რომელსაც დაიმსახურებდა ხოლმე, მოფერებით ეძახდა „პატარა ენეს“... როგორც ბრძენმა ადამიანმა ლუყმანმა უთხრა თავის შვილს „ჰეი, შვილო ჩემო!“ (ლუყმანი, 31/13-19), როგორც ჩვენი წინაპარი იბრაჰიმი, როგორც შვილი, მიმართავდა თავის მამას „ჰეი, მამაჩემო!“ (მერიემ, 19 / 42-48)

ოჯახში, სადაც დამკვიდრებულია გრძნობის ენა,

“ლაპარაკობს მოწყალება, ძალადობა ჩუმდება.

ოჯახში, სადაც დამკვიდრებულია გრძნობის ენა,

ლაპარაკობს სიყვარული, სიძულვილი ჩუმდება.

ჩვეი ოჯახის საკომუნიკაციო პლა

ოჯახში, სადაც დამკვიდრებულია გრძნობის ენა,

დაპარაკობენ მეგობრები, მტრები ჩუმდებიან.

ოჯახში, სადაც დამკვიდრებულია გრძნობის ენა,

დაპარაკობს გულის ძალა და არა მუშტის.





ღირებულების ენა

ოჯახი არის, როგორც ღირებულება, ასევე ღირებულების წყარო. კაცობრიობის მრავალი საერთო ღირებულება, როგორცაა პატიოსნება, სამართლიანობა და თანაგრძნობა, გადაეცემა თაობებს ოჯახების მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ჩვენი ოჯახი არის ადგილი, სადაც ყველაზე გულუხვად ვიმოქმედებთ ღირებულების ენის გამოყენებისას, ქების გამოხატვისას.

ჩვენი სახლების შესახებ ვიყენებთ სიტყვას „საცხოვრებელი“. საცხოვრებელი ნიშნავს იმ ადგილს, სადაც დომინანტურია მშვიდობა. იმის გამო, რომ შეუძლებელია ადამიანი კპოვოს სიმშვიდე, სადაც ის არ არის დაფასებული, ის ფაქტი, რომ ჩვენი სახლები არის საცხოვრებელი, ანუ მშვიდობიანი ადგილი, დამოკიდებულია ორმხრივი ღირებულების ენის შენარჩუნებაზე.

ღირებულების ენა არის კუთვნილების გრძნობის საფუძველიც. ადამიანი

თავს გრძნობს მხოლოდ იმ ადგილის კუთვნილებად, სადაც მას აფასებენ და აღიარებენ. მას სურს, განერიდოს იმ გარემოს, სადაც მისი იდეები სათანადოდ არ არის შეფასებული, მისი სიტყვები და ქცევა უაზროდ არის მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ადამიანებში ოჯახური ცნობიერების ამაღლება, შესაძლებელია მათ მიერ ღირებულების ენის გამოყენების უზრუნველყოფით. ნახეთ, როგორ არის ეს ენა დამკვიდრებული ჩვენი შუამავლის ცხოვრებაში:

ძვირფასი შუამავალი, თავის მეუღლე კზ. ჰათიჯეს, რომელიც მის გვერდით იყო ყველაზე რთულ მომენტებში, ახასიათებს, როგორც “ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ქალბატონთა შორის”. (ბუჰარი, მენაქიბულ-ენსარ, 20) მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგაც კი, ჩვენი დედა, ჰათიჯე, განსაკუთრებული ღირებულებასაა ძვირფასი შუამავლისთვის. მისი სიკვდილისთანავე იხსენებს მას, უზავნის საჩუქრებს მის მეგობრებს და კზ. აიშეს, რომლსაც ზოგჯერ შურს ეს მდგომარეობა და ამბობს „თითქოს არ არსებობს ჰათიჯეს გარდა სხვა ქალი დედამიწაზე!“ (ბუჰარი, ნიქაჰი, 108), ეტყვის: “მან დაიჯერა ჩემი, როცა არავის სჯეროდა.



როცა ყველამ უარყო, მან დაადასტურა. როდესაც ხალხი უარს ამბობდა ჩემს დახმარებაზე, ის დამეხმარა.“ (იბნ ჰანბელ, VI, 118)

ვხედავთ, რომ ეს ღირებულებისა და მაღლიერების ენა ორმხრივია შუამავლის ოჯახში. პირველ მომენტებში, როდესაც გამოცხადება მოვიდა, გაკვირვებულ და შეშინებულ ჩვენს ძვირფას შუამავალს ჰზ. ჰათიჯე მხარს უჭერს ამ უნიკალური ფრაზებით: „არ შეგეშინდეს, ვფიცავ ალლაჰს, რომ ის არასდროს არ შეგარცხვენს. იმიტომ, რომ შენს ნათესავებს ყურადღებას აქცევ, სიმართლეს ლაპარაკობ. იტვირთავ სუსტთა პრობლემებს, აკმაყოფილებ ღარიბების საჭიროებებს. სტუმარს უმასპინძლები, დაზარალებულს ეხმარები. (ბუჰარი, ბედლულ-ვაჰი, 1)

წლების შემდეგ, შუამავლის მაგალითიდან, რომელიც ამბობს, „ფატიმა ჩემი ნაწილია, ვინც მას აწყენინებს, მე მაწყენინებს.“ (ბუჰარი, ნიჰაჰი, 109), ვხდებით მოწმენი იმისა, თუ როგორ ღირებულებად გარდაიქმნება შვილი მამის გვერდით. აღსანიშნავია, რომ ჩვენი შუამავალი, რომელსაც როგორც ყველა მამას, უყვარს

თავისი შვილი, არ ერიდება ამ სიყვარულის სიტყვებით გამოხატვას. ისე, როგორც მან გულში ჩაიკრა თავისი შვილიშვილი ჰასანი და თქვა: “დიდო ალლაჰო, მე მიყვარს ის, გიყვარდეს შენც!” (მუსლიმ, ფედაილუს-საჰაბე, 56)

ჰზ. ფატიმა, კი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ გამოხატავს ტკივილს და ამბობს „მამიკო, რომელმაც უპასუხა მისი ღმერთის მიწვევას, მამიკო, რომელიც გადავიდა ფირდევსის სამოთხეში, მამიკო, რომელიც მივაბარეთ ჯებრაილს...“ (ბუჰარი, მეგაზი, 83) გვასწავლის შვილის თვალში მამის ღირებულებას.

ღირებულების ენა მოითხოვს, დაუმოთ ტერმინი „შენ“ და მივადწიოთ და მივეჩვიოთ ტერმინ „ჩვენ“-ის გამოყენებას. განსხვავებით ენისგან “შენ”, რომელიც ქმნის გაუფასურების, უკმარისობისა და დანაშაულის გრძნობას, ის აძლიერებს ერთობას, ნდობას და ერთგულებას. ხაზს უსვამს, რომ ტენდენციურობა სამუდამოდ იქნას თაროზე შემოდებული. სადაც გამოიყენება ეს ენა, უკვე იქ აღარ არის ფრაზა „შენი დედა“, არამედ არის „ჩვენი დედა“. არ არის ფრაზა „შენი ძმა“, არამედ არის „ჩვენი ძმა.“



ოჯახში, სადაც ღირებულების
ენა დომინანტურია, არ არსე-
ბობს გარიყვა, „შენ“, არსებობს
გუელში ჩაკვრა “ჩვენ” და ჩახუ-
ტება.

ოჯახში, სადაც ღირებულების
ენა დომინანტურია, ვერ იარსე-
ბებს სამარცხვინო დანაშაული,
როგორცაა ბიჭისა და გოგოს
განსხვავება.

ოჯახში, სადაც ღირებულების
ენა დომინანტურია, ყველა ლა-
მაზია, ლამაზად ხედავს, ლამაზს
ამჩნევს და ალამაზებს.

მოკლედ, თუ არსებობს ღირებუ-
ლების ენა, არსებობს თანხმობა
და არა კონკურენცია.



ენესი, რომელიც
გაიზარდა ჩვენი
ძვირფასი შუამავლის
გვერდით, ამბობს,
„ძვირფას შუამავალს
ვემსახურე ათი წლის
განმავლობაში. მას
არასდროს უთქვამს
„უჰ! ასე რატომ
მოიქეცი?“ ან „ასე
რატომ არ მოიქეცი!“
და არ გამბრაზებია.“

(ბუჰარი, ედეზ, 39)



მოდით
გავემოთ
ერთმანეთს



**მოდით
შევეთიანებოთ
ერტმანეთს**

მადლობის ენა

ერთი მადლობის თქმაც კი, შეიძლება სიძუნწის ბოლო წერტილი იყოს! ამიტომ, ჩვენი ძვირფასი შუამავლის ჭეშმარიტება, რომ „ის, ვინც არ იცის ადამიანებისთვის მადლობის გადახდა, მადლიერი არ იქნება ალლაჰისა“ იღვრება ბაგეებიდან. (ეზუ ღაფუდ, ეფებ, 11)

ძვირფასი შუამავალი ჰზ. აიშეს, რომელმაც თქვა, რომ „არა აქვს მინარევი, გარდა ძმრისა!“, ეუბნება „ძმარი რა კარგი მინარევია!“, გვაჩვენებს მადლობის გადახდის კიდევ ერთ განსვავებულ მასშტაბს: არა არარსებულის მონატრება, არამედ არსებულის სიხარულის განცდა...

კეთილი, ვინ იმსახურებს ყველაზე მეტად მადლობას ადამიანებს შორის?

პირველ ადგილს მაშინვე იკავებენ მშობლები. იმიტომ, რომ ისინი ჩვენი გვირგვინები არიან.



შემდეგ მოდის ჩვენი მეუღლე, რადგანაც ის მთელი ცხოვრება ჩვენს გვერდითაა.

და ჩვენი შვილები. იმიტომ, რომ ისინი ჩვენი მკურნალები არიან.

მადლობის ენა, ყველაზე მცირე სიკეთისა და სილამაზის, ყველაზე მცირე დახმარებისა და მომსახურების ღირებულების გაცნობიერება, რომელიც დავინახეთ ჩვენი მშობლებისგან, ჩვენი მეუღლისგან და ჩვენი შვილებისგან, მათთვის მადლობის თქმის არდაყოფნებაა.

მადლობის თქმისას, შექებისა და მოწონებისას, გათამამდება გვეგონია. თუმცა, ჩვენი საყვარელი შუამავალი ასე გვაფრთხილებს: „ადამიანმა, რომელსაც სიკეთე გაუკეთეს, როდესაც ექნება შესაძლებლობა გასცეს სამაგიერო. თუ არ ექნება, შეაქოს ის, ვინც აღნიშნული სიკეთე გაუკეთა. რადგანაც, ჩაითვლება რომ, მან გადაიხადა მადლობის ვალდებულება. ის ვინც სიკეთეს დამალავს, გამოიჩენს უმადურობას.“ (თირმიზი, ბირრ და სილა. 87)



ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ენა

მადლობის ენის ოჯახში დასამკვიდრებლად აუცილებელია გავაცნობიეროთ რაც ჩვენ გვაქვს და არა ის, რაც სხვებს აქვთ. აუცილებელია ჩავწვდეთ იმ აზრს, რომ არსებობა და არსებული უდიდესი სიმდიდრეა. ასევე, ჩვენი შუამავლის რჩევით, აუცილებელია არა მუდმივად სიმრავლის, არამედ უქონლობის დანახვაც და უმადურობისგან თავის დაღწევა. (ბუჰარი, რიყაჟ, 30) რადგანაც ყველაზე საშიში სიბრმავე არის უმადურობა.

თუ არსებობს მადლობის ენა ოჯახში,

არ არის უქონლობა, არამედ არის სიუხვე.

თუ არსებობს მადლიერების ენა ოჯახში,

არ არის მწუხარება, არამედ არის ბედნიერება.

თუ არსებობს მადლიერების ენა ოჯახში,

არ არის ნაკლოვანება, არამედ არსებობს სიამაყე.



ბოდიშის ენა

ადამიანი იშნავს შეცდომას. წამიერად წარმოიდგინეთ, რომ თქვენ არ გაქვთ შეცდომის უფლება ან თქვენი პირველი შეცდომისას ყველაზე მძიმე სასჯელი მიიღეთ. თუ რა მოხდება ამ შემთხვევაში, უზენაესი ალლაჰი ყურანში შემდეგნაირად აღწერს: “ალლაჰს ხალხი რომ დაესაჯა იმისათვის, რაც მოიხვეჭეს, არ დარჩებოდა მის ზურგზე არც ერთი ცოცხალი.” (ფათირი, 35/45) თუკი ასეა, რა არის ადამიანის პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე? კვლავ ყურანი ასე პასუხობს: „ალლაჰის წინაშე მიღებული მიტევება მხოლოდ იმათთვისაა, ვინც უმეცრებით უკეთურობას სხადის და მერე მაშინვე ინანიებს.“ (ნისა, 4/17)

ისე, როგორც ჩვენი ღმერთის წინაშე, გარდაუვალია, რომ ერთმანეთის წინაშეც იქნება ხარვეზები და შეცდომები. ისე, როგორც ჩვენ გვჭირდება მაშინვე ვთხოვით პატიება ალლაჰს, უნდა მოვუხადოთ ბოდიში ერთმანეთსაც.

დიახ, არა ბოდიშის მოხდა, არამედ ბოდიშის მოთხოვნა. რამდენად გაბედულნიც ვართ, როდესაც ვცოდავთ, ისე უნდა ვიყოთ გაბედული მონანიების, ბოდიშის მოხდის დროსაც. განსაკუთრებით, თუ გარემო, სადაც დავუშვით შედომა, არის ჩვენი ოჯახი, ისინი, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებენ ბოდიშს, არიან ჩვენი ოჯახის წევრები.

ბოდიშის მოხდა აგვარიდებს ისეთ უფრო დიდ შეცდომას, როგორც ჩვენი შეცდომების დაცვაა. ბოდიშის მოხდა საშუალებას გვაძლევს, რომ ძალისხმევა, რომელიც უნდა გავხარჯოთ არეფერში, როგორცაა დაცვა, დავხარჯოთ გამოსწორებაზე.

ჩვენი ბოდიში
არ უნდა იყოს
ნაკლოვანი და
არ საჭიროებდეს
ბოდიშს



musijm
Inleer

ბოდიში ხელს უშლის უკმაყოფილებების გაგრძელებას, გაბუტულთა გულების დაპყრობას, ოჯახის შიგნით რღვევებს.

ისე, როგორც ბოდიშის მოხდა არ არის სისუსტე, ბოდიშის მომხდელის სუსტად აღუქმელობა და ბოდიშზე პატივით პასუხიც სასიამოვნოა. რადგან, როგორც ჩვენი შუამავალი ამბობს, „შეცდომა პატიებაზე, უფრო საზიანოა, ვიდრე სასჯელზე შეცდომის დაშვება.“

(თირმიზი, სახლვარი, 2)

ბოდიშის ენის გამოყენებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ არ დავადანაშაულოთ ჩვენი მეუღლე, შვილი, ნათესავი. რადგანაც, ბოდიშები, რომლებიც ბოდიშის მოხდისას ერთის მხრივ ადანაშაულებს ჩვენს წინაშე მყოფს, თავიდან წარმოშობს საბოდიშოს და ემსახურება არა მის გამართლებას, არამედ განადგურებას. ჯანსაღი ბოდიშის მოხდისას, ადამიანმა უნდა აღიაროს მისი შეცდომა, მოინანიოს და თქვას, რომ გადაწყვეტილი აქვს კიდევ ერთხელ აღარ გააკეთოს ეს.



ოჯახში, სადაც ბოდიშის ენა
დომინანტურია,

არ განიხილება სირცხვილი
და დანაკარგები.

ოჯახში, სადაც ბოდიშის ენა
დომინანტურია,

მოიძებნება მარიფათი და
არა საბაბი.

ოჯახში, სადაც ბოდიშის ენა
დომინანტურია,

ხდება შეცდომების მიტვევა.

ოჯახში, სადაც ბოდიშის ენა
დომინანტურია,

გრძელდება არა ყბედობა,
არამედ პატიება.



ლოცვის ენა

ლოცვის მომენტები, ჩვენი ყველაზე ინტიმური, ყველაზე განსაკუთრებულია. ჩვენს ამ ძვირფას მომენტებში არ შეიძლება ითქვას, რომ ვართ ძალიან გულუხვი ჩვენი ოჯახისთვის. თუმცა, ყურანი ხშირად გვახსენებს შუამავალთა ერთ ოჯახებისთვის წარმოთქმულ ლოცვებს.

როდესაც ჰ. იბრაჰიმი ქააბას აშენებდა, ღმერთს ევედრებოდა მისი ოჯახისა და შთამომავლობის გამუსლიმანებას. (ბაყარა, 2/128) ამბობდა, „ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებელნი. ღმერთო ჩვენო! შეისმინე ჩემი ევედრება!“ (იბრაჰიმი, 14/40) ჰ. ზეკერიია ევედრება ალლაჰს სუფთა შთამომავლობის მოთხოვნით. (ალი იმრანი, 3/38)



მწყალობლის მსახურნი, რომელნიც ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ჩვენ სიხარული ჩვენი ცოლ-შვილის სახით და დაგვადგინე ჩვენ ღვთისმოსიშთათვის წინამძღვრად!“ (ფურყანი, 25/74) ბოლოს როცა მიაღწევს სრულწლოვანებას და შეიქმნება ორმოცი წლის, იტყვის: „ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მადლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და მომმადლე სიკეთე ჩემს შთამომავლობაში.“ (აჰ-ყაფი, 46/15)



ყურანი გვასწავლის, რომ მშობლებს უნდა ველაპარაკოთ არა პრეტენზიის ენით, არამედ ვედრების ენით: „ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა, 17/24) ჩვენს ძვირფას შუამავალს სურს, რომ მშობლებმა იცოდნენ, რამდენად ფასდაუფლებელი ღოცვის საგანძური აქვთ მათ: „არ არსებობს ეჭვი, რომ სამი სახის ღოცვა იქნება მიღებული: „მისი ღოცვა, ვინც უსამართლობის ქვეშ აღმოჩნდა, მგზავრის ღოცვა და მშობლების შვილებისადმი ღოცვა.“ (თირმიზი, ბირრ და სილა, 7)

ანგელოზთა ღოცვაშიც კი, ჩვენი ოჯახები დაუვიწყარია: „ღმერთო ჩვენო! შეიყვანე ისინი სამოთხის ბაღებში, რომელიც აღუთქვი მათ და ვინც კეთილი ჰქმნა მათ მამებთაგან, მეუღლეთაგან და შთამომავალთაგან. უეჭველად.“ (მუმინი, 40/8)

ჩვენი შუამავალიც ასევე იყენებს ღოცვის ენას ოჯახთან დაკავშირებით. მაგალითად, ნამაზის ყოველი ღოცვის ბოლო დაჯდომაზე, მადლობით, მადლიერებით ვახსენებთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის ოჯახსაც.“ (ბუჰარი, ენბია, 10) ჩვენს წინაშეა შუამავალი, რომელიც ნამაზის ღოცვაშიც არ ივიწყებს ოჯახს. ასევე, ის ერთ-ერთი ნამაზის ღოცვის დროს, ალაფ-



ლენს ვედრებას: „ღმერთო ჩემო! მაპატიე ჩემი ცოდვები, დაამკვიდრე ჩემს სახლში სიფართოვე და მშვიდობა, ბარაქიანი გახადე ჩემი სარჩო.“ (იბნ ჰანბელ, IV / 63)

ჩვენი ძვირფასი შუამავალი, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა, რომ ოჯახი მარტო არ დაეტოვებინა, შემდეგ ვედრებას აღავლენდა: „ღმერთო ჩემო! უფალო ჩვენო და უფალო ყოველთა! ჰქმენ, მე და ჩემი ოჯახი დედამიწაზე და საიქიოში ყოველწამს შენთან დაკავშირებული. ჰყი, სიდიადისა და პატივის მფლობელო!“ (ეზუ დავუდ, თეფრიუ ებვაგილ-ვიორ, 25)

არ არის საჭირო ვედრების აღსავლენად ელოდო განსაკუთრებულ დღეს და მომენტს. ყოველთვის ლოცვის ენაზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც ვიმყოფებით სადილზე მაგიდასთან, როდესაც ვაპირებთ დაწოლას, სახლიდან გასვლას, ვაცილებთ ჩვენს შვილს, მეუღლეს. მაგალითად, ძვირფასმა შუამავალმა, როდესაც მიდიოდა სამოგზაუროდ, მის მიერ აღვლენილ ლოცვაში, მისი ოჯახისთვის ისურვა: „ღმერთო ჩემო! შენ დამიფარე, რომ ჩემს ოჯახთან არ დავბრუნდე ცუდ მდგომარეობაში ან როდესაც დავბრუნდები, ჩემი ოჯახი არ ვიხილო ცუდ მდგომარეობაში.“ (მუსლიმ, ჰაჯ, 425)





ზოგჯერ, გაბრაზების მომენტებში ჩვენი მეუღლის ან ჩვენი შვილის მიმართ ენაზე მოგვადგება წყევლა. არასდროს უნდა დავივიწყოთ, რომ წყევლამ, რომელიც ენაზე მოგვადგა, შეიძლება მოგვიბრუნდეს ჩვენს თავს, როგორც უბედურება. გაფრთხილება ჩვენი საყვარელი შუამავლის, ძალიან შთამბეჭდავია: „ნუ დაწყევლით საკუთარ თავს, თქვენს შვილებს, თქვენს მსახურებს და თქვენს ქონებას. არ არის გამორიცხული, რომ დაემთხვეთ იმ დროს, როდესაც უზენაესი ალლაჰი არ ეუბნება უარს მისგან მოთხოვნილებს და ალლაჰიც მიიღებს თქვენს თხოვნას.“ (ეზუ დაჰუდ, თეფრიუ ებვაბილ-ვითრ, 27) ჩვენს ოჯახში, როგორც ბედნიერებისა და მშვიდობის დროს, ლოცვის ენა ასევე უნდა იყოს ჩართული გაბრაზებისა და ტკივილის დროსაც.

ოჯახებში, სადაც
დამკვიდრებულია ლოცვის ენა,

ყოველთვის არის ლოცვა და
არა წყევლა.

ოჯახებში, სადაც
დამკვიდრებულია ლოცვის ენა,

არის მიპატიუება და არა
წყევლა.

ოჯახებში, სადაც
დამკვიდრებულია ლოცვის ენა,

არის ძახილი და არა ყვირილი.

ოჯახებში, სადაც
დამკვიდრებულია ლოცვის ენა,

არის მუდარა და არა ჩივილი.

მოკლედ, ოჯახებში, სადაც არ
არის ლოცვის ნაკლებობა,

არის ალლაჰის უწყვეტი
წყალობა.



დუმილის ენა

ერთი შეხედვით, ლაპარაკი დუმილის ენასთან დაკავშირებით, შეიძლება მოგვეჩვენოს, როგორც წინააღმდეგობა. როგორც პოეტი ამბობს, “მოისმინე, ჩემს ხელთ არსებული დუმილის პულსი / მოისმინე და თან წაიღე ჩემი გული!” დიას, დუმილი ზოგჯერ გადმოსცემს ყველაზე კარგ გზავნილს მისთვის, ვინც ყურს დაუხედებს. რადგან ყველაზე ღამაზს სიტყვებს, თვალები ამბობენ. სწორედ ამიტომ, როდესაც წინა ხუთი ენა ვერ გამოიყენება ჯანსაღი კომუნიკაციისთვის ოჯახში, დუმილის ენამ უნდა დაიწყოს საუბარი. ისევე, როგორც ჩვენი შუამავლის რჩევაა, „ის ადამიანი, რომელსაც სწამს ალლაჰის და საიქიოს დღის, ან თქვას „არა“, ან გაჩუმდეს.“ (ბუჰარი, ეღებ, 31)

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამბობს: „გაცნობოთ, ვინ არის თქვენ შორის ყველაზე ცუდი? ესინი არიან ისეთები, რომლებიც ყბედობენ და ყურადღებას არ აქცევენ, რას საუბრობენ.“ (იბნ ჰანბელ, II, 370)



ჰადისის მიხედვით, როცა ადამიანი კარგავს კონტროლს გაბრაზების დროს, უმჯობესია გაჩუმდეს. (იბნ ჰანბელ, I / 239) ყველაზე გონივრული საქციელია, სათქმელად შესაბამისი მომენტისთვის დალოდება, ვიდრე ისეთი სიტყვების თქმა, რომლებიც გამოიწვევს სინანულს და დააზიანებს ჩვენი ოჯახის სიმშვიდეს.

ყურანში მოცემულია რჩევა, რომ სიტუაციების დროს, როდესაც ოჯახში საუბრით ვერ გვარდება პრობლემები, პრობლემის გადასაჭრელად, უნდა ჩაერთონ გონიერი ნათესავები, როგორც შუამავლები. (ნისა, 4/35) აქედან გამომდინარე, თუ პრობლემასთან დაკავშირებით ვერ ვსაუბრობთ, უნდა გაჩუმდეთ და დაველოდოთ გარემოს, სადაც შეგვეძლება საუბარი ან ვიპოვოთ ისეთი ვინმე, რომელსაც შეეძლება ისაუბროს ჩვენს მაგივრად.

გაჩუმდი, რამდენადაც
საკმარისი იქნება შენთვისაც
და სხვებისთვისაც,
იმისათვის, რომ შენი
გაჩუმება იყოს ყვირილი,
შენი საუბარი გამოსავალი.



ოჯახებში, სადაც
გამოიყენება დუმილის ენა,
ლაპარაკობენ შედეგიანად
და არა უშედეგოდ.

ოჯახში, სადაც გამოიყენება
დუმილის ენა, ყველაზე
რთულ მომენტებში, არ
ინთხევა ბრაზი, არამედ
ისადგურებს დუმილი.

ოჯახში, სადაც გამოიყენება
დუმილის ენა, ყველაფერი
რაც ფორმირდება გონებაში,
მაშინვე არ აღწევს ყელში.

დასკვნა

კომუნიკაციის ენების საერთო წერ-
ტილს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯა-
ხურ მშვიდობასა და ჯანსაღ ურთი-
ერთობებს, ქმნის თანაგრძნობა. აქედან
გამომდინარე, განსაკუთრებით უნდა
აღინიშნოს, რომ ზნეობის მქონე ყველა
ადამიანმა, ყველა თავის რიტორიკასა და
მოქმედებაში, არ უნდა ჩართოს ძალა-



ჩვენი ოჯახის საკომუნიკაციო ენა

დობისა და სიძულვილის ენა. შესაბამისად, ჩვენი ძვირფასი შუამავალი, როდესაც აფრთხილებს ჰზ. აიშეს, ამბობს, რომ „ღმერთს მოსწონს თვინიერად, ანუ რბილად და გაგებით მოქმედება, ყველა ქცევებში. (ბუჰარი, ეღებ, 35)

მოდით გავიხსენოთ ჰადისი, რომელიც გულისხმობს „ის ვინც არ დაიმსახურებს გააზრებისა და წყალობის წილს, დარჩება ყველა სიკეთის გარეშე.“ (ეზუ და-ვუდ, ეღებ, 10) მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს ოჯახში განვავითაროთ სრულყოფილი ენა;





გულის ენა რადიკალური
კომუნიკაციისთვის

ღირებულების ენა ჯანსალი
კომუნიკაციისთვის

მადლობის ენა უწყვეტი
კომუნიკაციისთვის

ბოდიშის ენა ხელახალი
კომუნიკაციისთვის

ლოცვის ენა სიყვარულის
კომუნიკაციისთვის

ღუმილის ენა მიუხედავად
ყველაფრისა კომუნიკაციისთვის





ღმერთო ჩემო! გვიწყალობე
შესაძლებლობა ვილაპარაკოთ ჩვენს
ოჯახში ჩვენი გულის სიკეთებით.

დაგვიცავი ჩვენ და დაიცავი ჩვენი
ენა, რომ ჩირქი არ მოვცხოთ
ერთმანეთის ღირებულებას.

მოგვეცი ცნობიერება, რომ ვუთხრათ
მადლობა ჩვენს გამჩენს და ვთქვათ
მადლობა იმისათვის, რაც გაგვაჩნია.

ყველა ჩვენგანი დაიცავი ბოდიშის
მოუხდელობის ინვალიდობისგან.

მოგვეცი წყალობა, რომ ღოცვამ
დაისადგუროს ჩვენს სახლში და
ჩვენს ენაზე.

მოგვეცი ცნობიერება, შევძლოთ
წყნარად დუმილი, როცა ვერ
ვლაპარაკობთ ადამიანურად.

აამინ!